585
1989/2

ISSN 0203-2023

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

№ 6

1989

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (587) ივნისი 1989 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

71. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მარნეულის რაიონში წერაქვის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

72. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

73. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1938 წლის 9 ივნისის დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

74. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ.

75. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

76. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება შრომითი დამსახურებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დასაჯილდოებლად წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციისა და დაჯილდოების ფურცლის ნიმუშის დამტკიცების თაობაზე.

77. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქ. წყალტუბოს № 273 მაღლაკის საარჩევნო ოლქისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

78. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილის მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევი სსრ კავშირის სა-

ბიბლიოთეკა

ხალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ შექმნილი კომისიისათვის ხელის შეწყობის შესახებ.

79. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომისიების შექმნის შესახებ.

80. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს სსრ კანონის, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტების მომზადების თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

81. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებების შეტანის შესახებ.

82. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შესახებ.

## განყოფილება მეორე

83. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ც. ს. არბოლიშვილის მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.

84. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

85. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

86. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

87. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

88. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლ „ივერიის" მსახიობებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

89. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ი. ახობაძისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

90. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. პ. ს. ბასილაძისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

91. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ტ. ტ. ბროევისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

92. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ა. კალანდაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

93. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ი. კალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

94. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. მ. ლეზგიშვილისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

95. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მიტროპოლიტ აგაფანგელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

96. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ ნ. გ. ნაცვლიშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

97. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ი. ობრეზკოვისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

98. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. ა. პაჩალიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

99. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ი. სამიტაშვილისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

100. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ი. სენოსათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და რაციონალიზატორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

101. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ა. სოკურაშვილისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

102. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჰ. ნ. ქურასბედიანისათვის „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

103. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ნ. ძაგნიძისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

104. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ რ. მ. ხოფერიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და რაციონალიზატორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

105. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ვ. ხუხუასათვის „საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

106. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სახელმწიფო ეროვნული რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

107. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

108. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

109. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. ზ. ანჯაფარიძისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

110. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ლ. დოიჯაშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

111. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. ნ. კანდელაკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

112. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. ი. კერესელიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

113. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ვ. მეშველიანისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

114. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ ნ. დ. მიქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

115. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ა. ფოცხვერიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

116. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. მ. ფრიდონოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

117. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა ხ. ქორიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

118. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ნ. შანიძისათვის „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

119. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ა. ძიძიგუ-რისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

120. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. ი. ხუნდაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

121. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. შ. ჯავახიშვილისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

122. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. ლ. ჯიჯიეშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და რაციონალიზატორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განყოფილება პირველი

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 71 მარნეულის რაიონში წერაქვის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

გამოეყოს მარნეულის რაიონის შაუმიანის სადაბო საბჭოს სოფელი სიონი, ოფრეთის სასოფლო საბჭოს სოფლები წერაქვი და ჯანხოში და მათ ბაზაზე შეიქმნას წერაქვის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ წერაქვში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 2 ივნისი.
№ 2151—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 72 საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„გზებზე მიმოსვლის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 თებერვლის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 420) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 116-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 116.** სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის წესების დარღვევა

მძღოლების მიერ ისეთ სატრანსპორტო საშუალებათა მართვა, რომელთაც აქვთ უწესივრობა სამუხრუჭე სისტემაში ან საჭის სამართავ მექანიზმში, ან რომლებიც გადაკეთებულია შესაბამისი ნებართვის გარეშე, ან რეგისტრირებული არ არის დადგენილი წესით, ან არ გაუვლიათ სახელმწიფო ტექნიკური შემოწმება, —

19883

საქ. სსრ კ. მარქს. სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართვის გადაცემა იმ პირისათვის, რომელსაც არა აქვს მართვის უფლება, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ოცდაათი მანეთით.

იგივე დარღვევა, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალებათა, ტვირთის, გზების, საგზაო და სხვა ნაგებობათა ან სხვა ქონების დაზიანება, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ოცდაათიდან ორმოცდაათ მანეთამდე".

8. ამოღებულ იქნეს კოდექსიდან 122-ე და 123-ე მუხლები.

9. 124-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 124.** ქვეითად მოსიარულეთა და საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეთა მიერ მოძრაობის წესების დარღვევა

ქვეითად მოსიარულეთა მიერ საგზაო მოძრაობის რეგულირების სიგნალებისადმი დაუმორჩილებლობა, სავალ ნაწილზე გადასვლა ნებადაურთველ ადგილებში, აგრეთვე მოპედისტებისა და ველოსიპედისტების, მეზიდავებისა და გზით მოსარგებლე სხვა პირების მიერ საგზაო მოძრაობის რეგულირების სიგნალებისადმი დაუმორჩილებლობა, პრიორიტეტის საგზაო ნიშნების, ამკრძალავი ან მიმთითებელი საგზაო ნიშნების მოთხოვნათა დაუცველობა, —

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ხუთი მანეთით.

ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული პირების მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა საავარიო ვითარება, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ათიდან ოცდაათ მანეთამდე".

10. 125-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 125.** გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებათა ხაზზე გაშვება და სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის წესების სხვა დარღვევები

ისეთ გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებათა გაშვება ხაზზე, რომელთა ექსპლუატაცია აკრძალულია ან რომლებიც გადაკეთებულია სათანადო ნებართვის გარეშე, ან რეგისტრირებული არ არის დადგენილი წესით, ან არ გაუვლიათ სახელმწიფო ტექნიკური შემოწმება, —

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციისათვის პასუხისმგებელი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელების ან სხვა თანამდებობის პირების დაჯარიმებას ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე".

11. 133-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 133.** გზების, რკინიგზის გადასასვლელებისა და სხვა საგზაო ნაგებობათა დაზიანება

გზების, რკინიგზის გადასასვლელების, სხვა საგზაო ნაგებობების ან საგზაო მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების დაზიანება, აგრეთვე საგზაო მოძრაობის შესაფერხებლად დაბრკოლების განზრახ შექმნა, მათ შორის გზის საფარის გაჭუჭყიანების საშუალებით, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე".

12. 209-ე მუხლის:

მეორე პუნქტში სიტყვები „117-ე მუხლის მესამე ნაწილით, 118-ე მუხლის მეორე ნაწილით, 119-ე მუხლით, 120-ე მუხლის პირველი და მეორე

მეხ. 72 ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილებით, 121-ე მუხლის მეორე ნაწილით, 122-ე, 123-ე მუხლებით, 125-ე მუხლის მეორე ნაწილით, 126 მუხლით“ და „133-ე მუხლის პირველი ნაწილით“ შესაბამისად შეიცვალოს სიტყვებით: „117-ე მუხლის მეორე ნაწილით, $117^1$, 118-ე, 119-ე მუხლებით, 120-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 121-ე მუხლით, 124-ე მუხლის მეორე ნაწილით, 125-ე, 126-ე მუხლებით“ და „133-ე მუხლით“;

მესამე პუნქტში სიტყვები: „117-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 118-ე მუხლის პირველი ნაწილით, 120-ე მუხლის მესამე ნაწილით, 121-ე მუხლის პირველი ნაწილით, 124-ე მუხლით, 125-ე მუხლის პირველი ნაწილით და 133-ე მუხლის მეორე ნაწილით“ შეიცვალოს სიტყვებით: „117-ე მუხლის პირველი ნაწილით, 120-ე მუხლის მესამე ნაწილით, 124-ე მუხლის პირველი ნაწილით“.

13. 242-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები: „124-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილებით“ და „117-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 118-ე მუხლის პირველი ნაწილით (სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების — სამხედრო მოსამსახურეთა და შეკრებაზე გაწვეულ სამხედრო ვალდებულთა მიერ სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევებში)“ შესაბამისად შეიცვალოს სიტყვებით: „124-ე მუხლის პირველი ნაწილით“ და „117-ე მუხლის პირველი ნაწილით“.

14. 249-ე მუხლის მეოთხე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ისეთი დარღვევისას, რომლისთვისაც ამ კოდექსის შესაბამისად შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სახდელი სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის სახით, მძღოლს საქმეზე დადგენილების გამოტანამდე ჩამოერთმევა მძღოლის მოწმობა და მიეცემა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების დროებითი ნებართვა, რის შესახებ კეთდება ჩანაწერი სამართალდარღვევის ოქმში. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილების გამოტანის შემთხვევაში მძღოლს მოწმობა არ დაუბრუნდება, ხოლო დროებითი ნებართვის მოქმედება გაგრძელდება საჩივრის შეტანის ან საჩივარზე გადაწყვეტილების მიღებისათვის დადგენილი ვადის გასვლამდე“.

15. 250-ე მუხლში:

სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სატრანსპორტო საშუალების მართვისაგან ჩამოშორება, შემოწმება სიმთვრალის დასადგენად, სატრანსპორტო საშუალების გაჩერების მოთხოვნა“;

დაემატოს ამ მუხლს შემდეგი შინაარსის მესამე და მეოთხე ნაწილები:

„სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციას, რომელთაც უწესივრობა აქვთ სამუხრუჭე სისტემაში ან საჭის სამართავ მექანიზმში, ან რომლებიც გადაკეთებულია შესაბამისი ნებართვის გარეშე, როცა ეს საფრთხეს უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას, კრძალავს შინაგან საქმეთა ორგანოების უფლებამოსილი თანამდებობის პირი სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

მილიციის მუშაკის მოთხოვნა სატარნსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ გამოიხატება ხელის ჟესტით ან კვერთხით სიგნალის მიცემით, სასტვენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ერთად, აგრეთვე ხმის გამაძლიერებლის მეშვეობით. სიგნალი უნდა იყოს მძღოლისათვის გასაგები და მიეცეს ისეთ დროს, როცა მისი შესრულება არ შექმნის საავარიო ვითარებას“.

16. 290-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის დადებული ჯარიმა დამრღვევს შეაქვს სსრ კავშირის შემნახველი ბანკის დაწესებულებაში, გარდა სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე გადახდილი ჯარიმისა, თუ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. 292-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს სიტყვები: „რომელიც წარმოადგენს მკაცრი საფინანსო ანგარიშგების დოკუმენტს“.

18. 26-ე, 242-ე და 289-ე მუხლებში სიტყვები „დაფიქსირდება“, „დააფიქსირებენ“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „გაფორმდება“, „გააფორმებენ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 5 ივნისი.

№ 2156—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 73 სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1938 წლის 9 ივნისის დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1938 წლის 9 ივნისის დადგენილება „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ამხანაგ სტალინის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1938 წ., № 15, მუხ. 76).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 7 ივნისი.

№ 2159—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 74 საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების 29-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 16 მაისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ 1971 წლის 9 დეკემბრის კანონით დამტკიცებული საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1971 წ., № 12, მუხ. 202; 1977 წ., № 4, მუხ. 43; 1978 წ., № 2, მუხ. 31; 1985 წ., № 9, მუხ. 325; 1986 წ., № 13, მუხ. 311) 52-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ქვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 9 ივნისი.
№ 2160—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 75 საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები თანახმად დანართისა.

3. დაწესდეს, რომ ამ ბრძანებულებით დამტკიცებულ დებულებაში გაუთვალისწინებელი საქართველოს სსრ საპატიო წოდებები შეუნარჩუნდებათ პირებს, რომლებსაც ისინი მიენიჭათ საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების შესახებ ადრე მოქმედი დებულების შესაბამისად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ქვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 15 ივნისი.
№ 2186—XI

№ 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1989 წლის 15 ივნისის
ბრძანებულებით.

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების შესახებ

### თავი I

### ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1.** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებია საქართველოს სსრ საპატიო წოდებები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

**მუხლი 2.** საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) შესაბამისად საქართველოს სსრ საპატიო წოდებებს აწესებს და ანიჭებს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით აჯილდოებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

**მუხლი 3.** საქართველოს სსრ ახალი საპატიო წოდების დაწესების შესახებ წარდგინების შეტანა შეუძლიათ რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს და უწყებებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეშვეობით.

საქართველოს სსრ საპატიო წოდების დაწესების შესახებ შუამდგომლობის აღძვრის უფლება აქვთ აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი რესპუბლიკური ორგანოების სახით.

**მუხლი 4.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით შეიძლება დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეები, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით — უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირებიც.

**მუხლი 5.** საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ მოწმობისა და სამკერდე ნიშნის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის ნიმუშებს ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

### თავი II

### საქართველოს სსრ საპატიო წოდებები

**მუხლი 6.** საქართველოს სსრ საპატიო წოდებები მოქალაქეებს ენიჭებათ რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის კონკრეტულ ამოცანათა გადაწყვეტაში, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, საზოგადოებრივი წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის, ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, კულტურისა და ხელოვნების, შრომითი საქმიანობის სხვა დარგებში ხანგრძლივი ნაყოფიერი, უმწიკვლო სამსახურისათვის, მაღალი პროფესიული ოსტატობისა და ამასთან საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

**მუხლი 7.** დაწესებულია საქართველოს სსრ შემდეგი საპატიო წოდებანი:

„საქართველოს სსრ სახალხო მასწავლებელი";

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი";

„საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი";

„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე";

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე";

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი";

„საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკი";

„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი";

„საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი";

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი";

„საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი და რაციონალიზატორი";

„საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკი";

„საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი";

„საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკი";

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი";

„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი";

„საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი";

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი";

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი";

„საქართველოს სსრ მომსახურების სფეროს დამსახურებული მუშაკი";

„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი";

„საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი".

**მუხლი 8.** საქართველოს სსრ ზოგიერთ საპატიო წოდებას აქვს ორი ხარისხი: „დამსახურებული" და „სახალხო".

საპატიო წოდება „სახალხო" შეიძლება მიენიჭოთ მოქალაქეებს ახალი დამსახურებისათვის, საპატიო წოდება „დამსახურებულის" მინიჭების შემდეგ.

**მუხლი 9.** საქართველოს სსრ საპატიო წოდება არ მიენიჭება იმ პირს, რომელსაც უკვე აქვს საქართველოს სსრ რომელიმე საპატიო წოდება, გარდა ამ დებულების მე-8 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**მუხლი 10.** საქართველოს სსრ საპატიო წოდება ენიჭება იმ მოქალაქეს, რომელსაც აქვს სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგში მუშაობის სულ ცოტა 20 წლის სტაჟი. აღნიშნული სტაჟი სავალდებულო არ არის „საქართველოს სსრ სახალხო მასწავლებლის", „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის", „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის," „საქართველოს სსრ დამსახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რებული გამომგონებლისა და რაციონალიზატორის", „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის", „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის", „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის", „საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის" საპატიო წოდებათა მინიჭების შემთხვევაში.

საქართველოს სსრ საპატიო წოდების მისანიჭებლად საჭირო სტაჟში ჩაითვლება ის დრო, რომლის განმავლობაშიც დასაჯილდოებლად წარდგენილმა პირმა იმუშავა უშუალოდ სპეციალობის მიხედვით.

**მუხლი 11.** მიენიჭებათ საქართველოს სსრ საპატიო წოდებები:

**საქართველოს სსრ სახალხო მასწავლებელი** — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ნოვატორ მასწავლებლებს, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით მოზარდი თაობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის საქმეში, დიდი წვლილი შეიტანეს ახალი ფორმებითა და მეთოდებით სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გამდიდრებაში და თავიანთი თვალსაჩინო მოღვაწეობით საყოველთაო აღიარება მოიპოვეს.

**საქართველოს სსრ სახალხო არტისტი** — საყოველთაოდ აღიარებულ მსახიობებს, რეჟისორებს, დირიჟორებსა და მუსიკოსებს, რომელთაც მიაღწიეს განსაკუთრებით დიდ საშემსრულებლო ოსტატობას, შექმნეს მაღალიდეური და მაღალმხატვრული სახეები, სპექტაკლები, კინოფილმები და ტელეფილმები, მუსიკალური ნაწარმოებები, საკონცერტო პროგრამები, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში, ხელოვანთა ახალგაზრდა თაობების აღზრდასა და პროფესიულ დაოსტატებაში.

**საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი** — სახვითი ხელოვნების ყველაზე გამოჩენილ მოღვაწეებს, რომელთაც ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, მონუმენტური, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა შექმნით, თეატრალური სპექტაკლების, კინოფილმებისა და ტელეფილმების გაფორმებით განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის საგანძურში, დიდი ღვაწლი დასდეს ხელოვანთა ახალგაზრდა თაობის აღზრდასა და პროფესიულ დაოსტატებას.

**საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე** — აკადემიის ნამდვილ წევრებსა და წევრ-კორესპონდენტებს, მეცნიერების დოქტორებს — პროფესორებს, რომლებმაც რესპუბლიკისა და კავშირის მასშტაბით მოიპოვეს დიდი აღიარება, შექმნეს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის თვალსაჩინო შრომები, აქვთ ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩენები და გამოგონებები, შექმნეს სამეცნიერო სკოლა, მიმართულება, დიდი პირადი წვლილი შეიტანეს სამეცნიერო კადრების მომზადებაში.

„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდება მიენიჭებათ მეცნიერებს სადოქტორო დისერტაციის დაცვიდან სულ ცოტა 10 წლის შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ საპატიო წოდების მინიჭების

ეროვნული ბიბლიოთეკა
მუხ. 75

დროისათვის მათ მოამზადეს 5 და მეტი მეცნიერების კანდიდატი და დოქტორი.

**საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე** — პოპულარულ კომპოზიტორებს, რეჟისორებს, დირიჟორებს, კინოოპერატორებს, ხელოვნებათმცოდნეებს, დრამატურგებსა და ხელოვნების სხვა დარგების მოღვაწეებს, რომლებმაც შექმნეს მაღალმხატვრული და მაღალიდეური თვალსაჩინო ნაწარმოებები, ნაშრომები, მხატვრული სახეები, სპექტაკლები, კინოფილმები და ტელეფილმები, საკონცერტო პროგრამები და მუსიკალური ნაწარმოებები, გამოავლინეს მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა და დიდი წვლილი შეიტანეს შემოქმედებითი კადრების აღზრდაში.

**საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი** — მრეწველობის დარგების საწარმოების, გაერთიანებების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მაღალკვალიფიციურ მუშაკებს, რომლებიც სტაბილურად ასრულებდნენ წარმოების მოცულობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის საგეგმო დავალებებს და მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებებს, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის საფუძველზე აღწევდნენ საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებს და რომლებმაც თვალსაჩინო პირადი წვლილი შეიტანეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში, წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის გადიდებასა და კონკურენტუნარიანი მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაში.

**საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკი** — სამშენებლო ორგანიზაციების, სამშენებლო ინდუსტრიის, ამ პროფილის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ორგანიზაციების მაღალკვალიფიციურ მუშაკებს, რომლებმაც უზრუნველყვეს მნიშვნელოვანი საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები, დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ობიექტებზე სამშენებლო, სამონტაჟო და სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოების ტემპის დაჩქარება, მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება და წარმოების დიდი რენტაბელობა.

**საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი** — რკინიგზის, საზღვაო, საჰაერო, საავტომობილო ტრანსპორტის, ქალაქის ელექტროტრანსპორტის, გზატკეცილების ექსპლუატაციის სამსახურების, ამ პროფილის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მაღალკვალიფიციურ მუშაკებს, რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის დავალებათა შესრულებაში, სატრანსპორტო საშუალებათა ეფექტიანად გამოყენებასა და მგზავრთა მომსახურების სანიმუშო ორგანიზაციაში, უზრუნველყვეს მუშაობის დიდი რენტაბელობა, მოძრაობის უსაფრთხოება და ტვირთის დაცვა-შენახვა, თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს უახლესი ტექნიკის შემუშავებასა და დანერგვაში.

**საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი** — კავშირგაბმულობის საწარმოების, ამ პროფილის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მაღალკვალიფიციურ მუშაკებს, რომლებმაც უზრუნველყვეს კავშირგაბმულობის ყველა სახეობით სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობისა და მოსახლეობის მომსახურების მაღალი დონე, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებასა და სრულყოფაში, უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავებასა და დანერგვაში.

**საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი** — კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სატყეო მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, ამ პროფილის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მაღალკვალიფიციურ მუშაკებს, რომლებმაც მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საფუძველზე დიდ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებაში, წლების განმავლობაში მოიწიეს რეკორდული მოსავალი, ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებაში, მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

**საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი და რაციონალიზატორი** — გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს, რომლებიც ეწეოდნენ ნაყოფიერ საგამომგონებლო და რაციონალიზატორულ მოღვაწეობას და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში დანერგილი აქვთ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობისა და ეკონომიკური ეფექტის მქონე გამოგონებები და რაციონალიზატორული წინადადებები, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში.

**საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკი** — უმაღლესი კატეგორიის ექიმებსა და პროვიზორებს, უმცროს და საშუალო სამედიცინო და ფარმაცევტულ პერსონალს, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სხვა მაღალკვალიფიციურ მუშაკებს, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური უზრუნველყოფის სანიმუშო ორგანიზაციაში და რომელთაც თავიანთი უმწიკვლო პრაქტიკული საქმიანობით საყოველთაო ავტორიტეტი და პატივისცემა დაიმსახურეს.

**საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი** — ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებს, მათ შორის საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავეებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკაში მასობრივი სპორტისა და ფიზიკური კულტურის განვითარების საქმეში, აღზარდეს ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს ჩემპიონები და რეკორდსმენები, სხვა უმაღლესი სპორტული მაჩვენებლების მქონე სპორტსმენები და მოამზადეს მაღალკვალიფიციურ მწვრთნელთა კადრები.

**საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკი** — უმაღლესი სასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლების, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკური სასწავლებლების, სკოლისგარეშე და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მასწავლებლებს, აღმზრდელებსა და საწარმოო სწავლების ოსტატებს, დარგის სამეცნიერო-მეთოდიკურ დაწესებულებათა მუშაკებს, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს სახალხო განათლების განვითარებისა და მოზარდი თაობის აღზრდის საქმეს, არსებითი წვლილი შეიტანეს ორიგინალური სასწავლო-აღმზრდელობითი პრაქტიკის, სწავლებისა და აღზრდის მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვაში.

**საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი** — თეატრის, კინოს, ესტრადის, ცირკის, ანსამბლების, ტელევიზიისა და რადიოს პოპულარულ მსახიობებს, მუსიკოსებსა და რეჟისორებს, რომლებმაც მიაღწიეს მაღალ საშემსრულებლო ოსტატობას, შექმნეს მაღალმხატვრული და მაღალიდეური სახეები, სპექტაკლები, კინოფილმები, ტელეფილმები და რადიოდადგმები, საკონცერტო პროგრამები, და რომლებსაც დიდი დამსახურება მიუძღვით ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში.

**საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი** — სახვითი ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს, ხალხური მხატვრული რეწვის ოსტატებს, თეატრისა და კინოს მხატვრებს, აგრეთვე დიზაინერებს და საწარმოთა მხატვრებს, რომლებმაც შექმნეს ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, მონუმენტური და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მაღალმხატვრული ნაწარმოებები, მაღალ პროფესიულ დონეზე გააფორმეს თეატრალური სპექტაკლები, კინოფილმები და ტელეფილმები, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის საგანძურში.

**საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი** — არქიტექტორებს, რომლებმაც შექმნეს თანამედროვე არქიტექტურული კომპლექსები, შენობები და ნაგებობები, და რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით არქიტექტურის, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა რესტავრაციაში.

**საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი** — კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების, საზოგადოება „ცოდნის", კინემატოგრაფიის, რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის, გამომცემლობების, პოლიგრაფიის, ტურისტულ-საექსკურსიო დაწესებულებების, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სამსახურების, კულტურის სხვა სფეროების მუშაკებს, რომელთაც დიდი დამსახურება მიუძღვით კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სრულყოფასა და მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, ეროვნული კულტურის აღმავლობაში.

**საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი** — მაღალკვალიფიციურ ეკონომისტებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ეკონომიკური მუშაობის სრულყოფაში, დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემის დანერგვის, პროგრესული ეკონომიკური პრინციპების გამოყენების საფუძველზე მიაღწიეს წარმოების ეფექტიანობის განუხრელ ზრდასა და მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს.

**საქართველოს სსრ მომსახურების სფეროს დამსახურებული მუშაკი** —

მომსახურების სფეროს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მაღალკვალიფიციურ მუშაკებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეს თავი მომსახურების კულტურის ამაღლებაში, უზრუნველყვეს [illegible] და საწარმოო დავალებების სისტემატური შესრულება, მომსახურების ახალ სახეობათა, პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვა, თავიანთი უმწიკვლო მუშაობითა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურეს.

**საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი** — სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრებს, გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობების, დეპეშათა სააგენტოს, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის რედაქციების მუშაკებს, რომლებმაც გამოავლინეს მაღალი პროფესიული ოსტატობა, მოამზადეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი დიდი საზოგადოებრივი რეზონანსის მქონე პუბლიკაციები, აქტიური პროფესიული საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოური ცხოვრების წესისა და კომუნისტური ზნეობის დამკვიდრებაში, ქართული საბჭოთა ჟურნალისტიკის განვითარებაში.

**საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი** — მაღალკვალიფიციურ იურისტებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების დარგში პრაქტიკული უმწიკვლო მუშაობით, სამართალშემოქმედებითი საქმიანობით, საბჭოთა კანონმდებლობის აქტიური პროპაგანდით.

**მუხლი 12.** იმ პირებს, რომლებსაც მიენიჭათ საქართველოს სსრ საპატიო წოდებები, გადაეცემათ შესაბამისი მოწმობა და დადგენილი ნიმუშის სამკერდე ნიშანი.

## თავი III

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი

**მუხლი 13.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით მოქალაქე დაჯილდოვდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანათა გადაწყვეტაში დიდი წვლილის, სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, კულტურის განვითარებისა და შრომითი საქმიანობის სხვა სფეროებში ხანგრძლივი ნაყოფიერი, უმწიკვლო სამსახურის, აქტიური სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის;

სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდებიან საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მაღალი მაჩვენებლებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით შეიძლება დაჯილდოვდნენ პენსიაზე მყოფი რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მებრძოლები, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მხედართმთავრები, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, მეცნიერებათა აკადემიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრები და წევრ-კორესპონდენტები, საქვეყნოდ ცნობილი მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველაზე გამოჩენილი ორგანიზატორები და ნოვატორები მათ იუბილესთან დაკავშირებით.

**მუხლი 14.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოება შეიძლება სიკვდილშემდგომაც.

## თავი IV

## საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დასაჯილდოებლად წარდგენის წესი

**მუხლი 15.** თითოეულ შრომით კოლექტივს უფლება აქვს დამოუკიდებლად აღძრას შუამდგომლობა საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ. დასაჯილდოებელ კანდიდატურებს განიხილავენ შრომითი კოლექტივის კრებაზე, ან მის საბჭოზე, რის შესახებაც დაჯილდოების ფურცელში კეთდება ჩანაწერი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოება შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანოების, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების ინიციატივით, შესაბამისი შრომითი კოლექტივის აზრის გათვალისწინებით.

**მუხლი 16.** შრომითი კოლექტივების შუამდგომლობანი საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ განხილულ უნდა იქნეს სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების სხდომებზე, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების კოლეგიების სხდომებზე, სამეცნიერო დაწესებულებებისა და შემოქმედებითი კავშირების პრეზიდიუმებისა და სამეცნიერო საბჭოების, აგრეთვე პროფკავშირების დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტის მიერ.

„საქართველოს სსრ სახალხო მასწავლებლის“, „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“, „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“, „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“, „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდებებზე წარდგენის დროს კანდიდატურების განხილვა ეწყობა უფრო ფართოდ, რესპუბლიკური პრესის მეშვეობით.

დაჯილდოების შესახებ შუამდგომლობაზე უარის თქმის შემთხვევაში შესაბამისი ორგანო განუმარტავს შრომით კოლექტივს ასეთი გადაწყვეტილების მიზეზებს. შრომით კოლექტივს უფლება აქვს გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება შესაბამის ზემდგომ სახელმწიფო ორგანოსა ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაში.

**მუხლი 17.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით მშრომელთა დასაჯილდოებლად წარდგინებანი დადგენილი ნიმუშის დაჯილდოების ფურცელთან ერთად შეაქვთ უშუალოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების სისტემაში შემავალი საწარმოების, გაერთიანებების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მუშაკებისა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს პროფკავშირთა შესაბამის ორგანოებთან ერთად;

საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების სისტემაში შემავალი საწარმოების, გაერთიანებების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მუშაკებისა — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს პროფკავშირების შესაბამის ორგანოებთან ერთად, აგრეთვე საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, პროფკავშირთა შესაბამის ორგანოებთან ერთად;

კოლმეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, საწარმოებისა და მომსახურების სფეროების კოოპერატივების, სამომხმარებლო კოოპერატივების წევრებისა — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს, აგრეთვე საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებსა და ცეკავშირის გამგეობას პროფკავშირების შესაბამის ორგანოებთან ერთად;

საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საწარმოების, გაერთიანებებისა და დაწესებულებების მუშაკების, შემოქმედებითი კავშირების წევრებისა — საზოგადოებრივი ორგანიზაციების და შემოქმედებითი კავშირების რესპუბლიკურ ორგანოებს პროფკავშირების შესაბამის ორგანოებთან ერთად;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სამინისტროების, უწყებების სისტემაში შემავალი საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მუშაკებისა — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს პროფკავშირთა საოლქო საბჭოებთან ერთად;

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის უწყებების სისტემაში შემავალი საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მუშაკებისა — სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომს პროფკავშირთა საოლქო საბჭოსთან ერთად.

**მუხლი 18.** საბჭოთა არმიის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარებისა და ორგანოების სამხედრო მოსამსახურეთა, მუშა-მოსამსახურეთა, შინაგან საქმეთა ორგანოების რიგითი და მეთაურთა, შემადგენლობის პირთა დაჯილდოების შესახებ შუამდგომლობათა აღძვრის წესს განსაზღვრავენ შესაბამისად სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭო, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი.

**მუხლი 19.** საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების წარდგენა საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებზე ხდება საერთო საფუძველზე.

მუხ. 75
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საზღვარგარეთ მომუშავე საბჭოთა მოქალაქეების, აგრეთვე საზღვარგარეთ მცხოვრები უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების დაჯილდოების შესახებ წინადადებებს წარადგენენ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო ან საქართველოს სსრ სხვა სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

**მუხლი 20.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოზე ხელახალი დაჯილდოებისათვის წარდგენა შეიძლება არა უადრეს ხუთი წლისა სახელმწიფო ჯილდოთი წინა დაჯილდოების შემდეგ.

მოქალაქეობრივი და მხედრული მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის დასაჯილდოებლად წარდგენა შეიძლება წინა დაჯილდოების დროის მიუხედავად.

მოქალაქეები თავიანთ იუბილესთან დაკავშირებით შრომითი საქმიანობის პერიოდში არ დაჯილდოვდებიან.

**მუხლი 21.** რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენილი კანდიდატურები წინასწარ განიხილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაჯილდოების საკითხთა კომისიის სხდომაზე.

**მუხლი 22.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ გამოსცემს ბრძანებულებებს, რომლებიც საყოველთაო გაცნობისათვის ქვეყნდება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ და რესპულიკურ, ადგილობრივ ან საუწყებო პრესაში.

19993

## თავი V

## საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების გადაცემის წესი

**მუხლი 23.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოები გადაიცემა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელითა და დავალებით საზეიმო და ფართო საჯაროობის ვითარებაში.

**მუხლი 24.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებს გადასცემენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი და წევრები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საქართველოს სსრ მთავრობის წევრები, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების თავმჯდომარეები, თავმჯდომარეთა მოადგილეები, მდივნები და წევრები, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები და საქართველო-

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირნი.

სამხედრო მოსამსახურეებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოები შეიძლება ჯარის ნაწილებში გადასცეს აგრეთვე სამხედრო სარდლობამ.

**მუხლი 25.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების გადაცემა წარმოებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებში, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, დაჯილდოებულთა შრომითს კოლექტივებში, საზეიმო კრებებზე, სახალხო დეპუტატთა საბჭოების სესიებზე, თათბირებზე, მოწინავეთა შეკრებებსა და სხვა კრებებზე, ხოლო ჯარის ნაწილებში — მწყობრის წინ ან ჯარის წარმომადგენელთა საზეიმო კრებაზე.

**მუხლი 26.** დაჯილდოებულს საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდო უნდა გადაეცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ან მისი ამონაწერის მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა იმ ორგანოს მიერ, რომელსაც დაევალა გადაცემის ორგანიზაცია.

**მუხლი 27.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების გადაცემის შესახებ შედგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ჯილდოს გადამცემი პირი და მოწმდება ჯილდოს გადამცემი ორგანოს ბეჭდით. ოქმი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში წარდგენილ უნდა იქნეს ჯილდოს გადაცემიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

## თავი VI

## დაჯილდოებულთა უფლებები და მოვალეობები

**მუხლი 28.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოებულნი სანიმუშონი უნდა იყვნენ შრომაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში, სამხედრო მოვალეობის, სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით, საბჭოთა კანონებით დაკისრებულ სხვა მოვალეობათა შესრულებაში.

**მუხლი 29.** სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, გაერთიანებების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაცია, შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ჯარის ნაწილების სარდლობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ეწევიან დაჯილდოებულთა მიღწევების ფართო პროპაგანდას,ავრცელებენ მათს მოწინავე გამოცდილებას, მოქალაქეებს, განსაკუთრებით კი მოზარდ თაობას, ზრდიან ამ პირთა დამსახურებისადმი პატივისცემისა და მადლიერების სულისკვეთებით.

**მუხლი 30.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოებული მოქალაქეები სარგებლობენ შეღავათებით კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში და წესით.

**მუხლი 31.** გარდაცვლილი ან სიკვდილშემდგომ დაჯილდოებულის ჯილდოები და დაჯილდოების დოკუმენტები — საქართველოს სსრ საპატიო წოდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის სამკერდე ნიშანი და მოწმობა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი რჩება ან გადაეცემა მის ოჯახს სამახსოვროდ.

გარდაცვლილი ან სიკვდილშემდგომ დაჯილდოებულის მემკვიდრეთა თანხმობით მისი ჯილდოები და დაჯილდოების დოკუმენტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეიძლება გადაეცეს მუზეუმს შესანახად და გამოსაფენად, ხოლო სამხედრო სარდლობის გადაწყვეტილებით — სამხედრო მუზეუმს.

თუ გარდაცვლილ დაჯილდოებულს მემკვიდრეები არა ჰყავს, მისი ჯილდოები და დაჯილდოების დოკუმენტები უბრუნდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

**მუხლი 32.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოთი დაჯილდოებულმა სათუთად უნდა შეინახოს იგი. მისი დაკარგვის შემთხვევაში დაჯილდოებული ინარჩუნებს თავის უფლებებს.

საქართველოს სსრ საპატიო წოდების შესახებ მოწმობისა და სამკერდე ნიშნის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის დუბლიკატები, როგორც წესი, არ გაიცემა. ისინი შეიძლება გასცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში — სტიქიური უბედურების შედეგად ან სხვა გარემოებაში ჯილდოების დაკარგვისას, როდესაც დაჯილდოებულს არ შეეძლო მათი დაკარგვის თავიდან აცილება.

## თავი VII

## საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების ჩამორთმევა

**მუხლი 33.** საქართველოს სსრ საპატიო წოდების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის ჩამორთმევა შეუძლია მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს იმ შემთხვევაში:

ა) თუ დაჯილდოებული მსჯავრდებულია მძიმე დანაშაულისათვის — სასამართლოს წარდგინებით კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით;

ბ) თუ პირმა ჩაიდინა ისეთი გადაცდომა, რომელიც სახელს უტეხს მას როგორც დაჯილდოებულს, — დაჯილდოების შესახებ წარდგინების შეტანის უფლების მქონე ორგანოს წარდგინებით;

გ) თუ დაჯილდოებულს ჩამოერთვა სსრ კავშირის მოქალაქეობა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოს ჩამორთმევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოსცემს ბრძანებულებას.

**მუხლი 34.** საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ მოწმობა და სამკერდე ნიშანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, რომლებიც სახელმწიფო ჯილდოჩამორთმეულს ეკუთვნის, უნდა დაუბრუნდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი VIII

### პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების მიმართ უკანონო მოქმედებისათვის

**მუხლი 35.** აკრძალულია ისეთი სიგელის, მოწმობისა და სამკერდე ნიშნის დაწესება და დამზადება, რომელიც გარეგნულად წააგავს საქართველოს სსრ საპატიო წოდების მოწმობას და სამკერდე ნიშანს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელს.

**მუხლი 36.** საქართველოს სსრ საპატიო წოდების სამკერდე ნიშნის ტარება იმ პირის მიერ, რომელსაც საამისო უფლება არა აქვს, აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების მიმართ სხვა უკანონო მოქმედება გამოიწვევს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 15 ივნისის ბრძანებულების დანართი.

# ნ უ ს ხ ა

## საქართველოს სსრ ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტებისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1982 წ., № 9, მუხ. 277);

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 27 თებერვლის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო მასწავლებლის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1985 წ., № 2, მუხ. 25);

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 31 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1985 წ., № 5, მუხ. 158);

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 20 სექტემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული კონსტრუქტორისა“ და „საქართველოს სსრ დამსახურებული ტექნოლოგის“ საპატიო წოდებათა დაწესების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1985 წ., № 9, მუხ. 324).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Ვ. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ.

## 76 შრომითი დამსახურებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დასაჯილდოებლად წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციისა და დაჯილდოების ფურცლის ნიმუშის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია შრომითი დამსახურებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დასაჯილდოებლად წარდგენის წესის შესახებ.

2. დამტკიცდეს დაჯილდოების ფურცლის ნიმუში.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 14 მარტის ბრძანებულება „დაჯილდოების ფურცლის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 15 ივნისი.

№ 2187—XI

მუხ. 76

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 15 ივნისის დადგენილებით

# ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

## შრომითი დამსახურებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დასაჯილდოებლად წარდგენის წესის შესახებ

1. შუამდგომლობა საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ აღიძვრება, როგორც წესი, იმ შრომითი კოლექტივში სადაც მუშაობს ჯილდოზე წარსადგენი პირი. შუამდგომლობას აღძრავს ადმინისტრაცია საწარმოს, გაერთიანების, დაწესებულების, ორგანიზაციის პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად.

2. საქართველოს სსრ საპატიო წოდების მისანიჭებლად და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დასაჯილდოებლად თითოეულ წარსადგენ პირზე შრომითს კოლექტივებში შეივსება დაჯილდოების ფურცელი (დაჯილდოების ფურცლის ფორმა თან ერთვის). დაჯილდოების ფურცელში მითითებულია დასაჯილდოებელი პირის გვარი, სახელი, მამის სახელი — მისი პიროვნების დამადასტურებელი საბუთის მიხედვით; პროფესია ან თანამდებობა — მუშათა პროფესიების, მოსამსახურეთა თანამდებობების საერთო-საკავშირო კლასიფიკატორის საფუძველზე; იმ საწარმოს, გაერთიანების, დაწესებულების, ორგანიზაციის სრული სახელწოდება, რომელშიც დასაჯილდოებელი პირი მუშაობს.

დაჯილდოების ფურცელი შეიცავს მონაცემებს, რომლებიც ახასიათებენ დასაჯილდოებელ პირს, ასახავენ მის კონკრეტულ შრომითს დამსახურებას, ცნობებს მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის, საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ.

დაჯილდოების ფურცელში დახასიათებას ხელს აწერენ საწარმოს, გაერთიანების, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი, პროფკავშირის კომტეტის თავმჯდომარე, შრომითი კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.

საწარმოს, გაერთიანების, დაწესებულების, ორგანიზაციის პირველი ხელმძღვანელის დაჯილდოების ფურცელში დახასიათებას ხელს აწერენ პარტიული ორგანიზაციის მდივანი, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე, შრომითი კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე. თუ საწარმოში, გაერთიანებაში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში არ არის შრომითი კოლექტივის საბჭო, მაშინ დახასიათებას ხელს აწერს შრომითი კოლექტივის იმ კრების თავმჯდომარე, რომელზეც განიხილეს დასაჯილდოებელი კანდიდატურები. საკავშირო ალკკ წევრის დაჯილდოების შესახებ შუამდგომლობის აღძვრის შემთხვევაში დაჯილდოების ფურცელში დახასიათებას ხელს აწერს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოების ფურცელში დახასიათება მოწმდება იმ საწარმოს, გაერთიანების, დაწესებულების, ორგანიზაციის ბეჭდით, რომელთა ხელმძღვანელებიც მას ხელს აწერენ. დაჯილდოების ფურცელს ავსებენ საბეჭდი მანქანით; მასში ზუსტად და მკაფიოდ უნდა შეივსოს ყველა გრაფა.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ შუამდგომლობას (წერილი დაჯილდოების შესახებ წინადადების დასაბუთებით და დაჯილდოების ფურცელი) შრომითი კოლექტივები შესათანხმებლად გზავნიან სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომში, რომელიც განხილვის შემდეგ უთანხმებს მას პარტიის შესაბამის რაიკომს (ქალაქკომს). დაჯილდოების ფურცელში შეაქვთ თანხმობის შესახებ ჩანაწერი, რომელიც დამოწმებულია აღმასკომის თავმჯდომარის, პარტიული კომიტეტის მდივნის ხელმოწერებითა და ამ ორგანოების ბეჭდებით. გაფორმებული დაჯილდოების ფურცელი უბრუნდება შრომითს კოლექტივს.

4. შეთანხმებულ შუამდგომლობებს დაჯილდოების შესახებ შრომითი კოლექტივები დაქვემდებარების მიხედვით უგზავნიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, შემოქმედებით კავშირთა რესპუბლიკურ ორგანოებს, რომლებიც განიხილავენ მიღებულ მასალებს და ამზადებენ წარდგინებებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ.

5. წარდგინებაში დასაბუთებულია წინადადებანი მუშაკთა დაჯილდოების შესახებ, მოკლედაა გადმოცემული მათ მიერ მიღწეული წარმატებანი. წარდგინებას თან ერთვის:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების პროექტი საპატიო წოდების მინიჭების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ;

დაჯილდოების ფურცელი;

საპატიო წოდებაზე წარდგენილის ფოტოსურათი (3×4).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების პროექტებს ვიზას აძლევენ იმ ორგანოების ხელმძღვანელები, რომლებმაც დასაჯილდოებლად წარადგინეს მუშაკები.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1989 წლის 15 ივნისის
ბრძანებულებით

საქართველოს სსრ ______________________
(ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, რაიონის, ქალაქის დასახელება)

# დაჯილდოების ფურცელი

1. გვარი ______________________

სახელი, მამის სახელი ______________________

2. დაბადების წელი და ადგილი ______________________

3. ეროვნება __________ 4. სქესი __________ 5. პარტიულობა __________

6. განათლება __________ ა) რომელი სასწავლებელი დაამთავრა და როდის

______________________

ბ) რა სპეციალობა მიიღო ______________________

7. სამეცნიერო ხარისხი, წოდება და როდის მიენიჭა ______________________

______________________

8. სამუშაო სტაჟი სპეციალობის მიხედვით ______________________

9. რა სახელმწიფო ჯილდოები აქვს მიღებული და როდის ______________________

______________________
(ორდენები, მედლები, საპატიო სიგელი, საპატიო წოდება და სხვ.)

______________________

______________________

______________________

10. ბინის მისამართი, ტელეფონის № ______________________

11. წარდგენილია ______________________
(საპატიო წოდების მისანიჭებლად, საპატიო სიგელით დასაჯილდოებლად)

ეროვნული ბიბლიოთეკა


12. სამუშაო, რომელსაც ასრულებს შრომითი საქმიანობის დაწყების შემდეგ

| თვე და წელი | | თანამდებობის და სამუშაო ადგილის სრული დასახელება | სამუშაოდან წასვლის მიზეზი |
|---|---|---|---|
| მოსვლის | წასვლის | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

ბ. ა. პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა:

„——"—————————— 19 —— წ.

მუხ. 7/6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 13. დახასიათება

(იმ კონკრეტული დამსახურების მითითებით, რომლისთვისაც წარდგენილია დასაჯილდოებლად)

________________________________________

________________________________________

________________________________________

ამხ. ________________ კანდიდატურას რეკომენდაცია გაუწია

________________________________________

(საწარმოს, გაერთიანების, დაწესებულების, ორგანიზაციის დასახელება, განხილვის თარიღი,

________________________________________

ოქმის №)

________________ შრომითი კოლექტივის კრებამ ან საბჭომ.

საწარმოს, გაერთიანების, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელი

________________

(ხელმოწერა)

შრომითი კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე

________________

(ხელმოწერა)

პარტიული ორგანიზაციის მდივანი

________________

(ხელმოწერა)

პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე

________________

(ხელმოწერა)

კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი

________________

(ხელმოწერა)

ბ. ა.

„——“________________ 19 —— წ.

შენიშვნა: კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ხელს აწერს მხოლოდ ალკკ წევრის დახასიათებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ———————————————— დაჯილდოების შესახებ შუამდგომლობას მხარს უჭერენ:

პარტიის ———————————————— რაიკომი, ქალაქკომი

სახალხო დეპუტატთა ———————— რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

რაიკომის, ქალაქკომის მდივანი

სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

————————————————
(ხელმოწერა)

————————————————
(ხელმოწერა)

„——"———————— 19 —— წ.

„——"———————— 19 —— წ.

ბ. ა.

ბ. ა.

## 14. ზემდგომი ორგანოების დასკვნა

————————————————————————————————

————————————————————————————————

————————————————————————————————

————————————————————————————————

————————————————————————————————

————————————————————————————————

————————————————————————————————

————————————————————————————————

————————————————————————————————

————————————————————————————————

————————————————————————————————

————————————————
(ხელმოწერა)

————————————————
(ხელმოწერა)

„——"———————— 19 —— წ.

„——"———————— 19 —— წ.

ბ. ა.

ბ. ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 77 ქ. წყალტუბოს № 273 მაღლაკის საარჩევნო ოლქისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

ამხ. გ. ს. აბზიანიძის მიერ დეპუტატის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ პირად განცხადებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-10 მუხლის საფუძველზე ჩაითვალოს ვადამდე შეწყვეტილად ქ. წყალტუბოს № 273 მაღლაკის საარჩევნო ოლქისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამხ. გივი სერგოს ძე აბზიანიძის უფლებამოსილება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 20 ივნისი.
№ 2189—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### 78 ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ შექმნილი კომისიისათვის ხელის შეწყობის შესახებ

ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ შექმნილი კომისიისათვის ხელის შეწყობის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოს, ორგანიზაციასა და თანამდებობის პირს შეასრულოს ზემოაღნიშნული კომისიის მოთხოვნები, წარუდგინონ მას საჭირო მასალები და დოკუმენტები.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევმა კომისიამ (ამხ. თ. შავგულიძე) სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის კომისიას გააცნოს მის მიერ მოკვლეული ყველა მასალა და დასკვნა.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 20 ივნისი.
№ 2190—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა



## 79 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომისიების შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

I. შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემდეგი კომისიები:

1. საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისია:

თავმჯდომარე — ალექსანდრე დიმიტრის ძე **ალექსიძე.**

წევრები:

ლევან ანდრიას ძე **ალექსიძე**
ოთარ ისიდორეს ძე **გიგინეიშვილი**
რევაზ შალვას ძე **თაბუკაშვილი**
იური მიხეილის ძე **კაჭარავა**
ნოდარ ირაკლის ძე **კიკვაძე**
ლევან ნიკოლოზის ძე **მატარაძე**
ავთანდილ მიხეილის ძე **მენთეშაშვილი**
ზურაბ ვახტანგის ძე **ჟვანია**
უშანგი იოსების ძე **სიდამონიძე**
დევი გიორგის ძე **სტურუა**
აკაკი ნესტორის ძე **სურგულაძე**
ილია მაქსიმეს ძე **ტაბაღუა**
გურამ ივანეს ძე **ფანჯიკიძე**
გიორგი დიმიტრის ძე **ჯავახიშვილი.**

2. რესპუბლიკაში იმიგრაციული პროცესების შესწავლის და ამ მხრივ დაშვებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღკვეთის საკითხთა კომისია:

თავმჯდომარე — ჯანსუღ ავდილის ძე **ჩარკვიანი.**

წევრები:

ანდრია მელიტონის ძე **აფაქიძე**
შოთა ვარლამის ძე **გორგოძე**
რისმაგ ბენიამინის ძე **გორდეზიანი**
ვაჟა ვარდენის ძე **გუჯაბიძე**
აკაკი ნესტორის ძე **კაცაძე**
მერაბ კონსტანტინეს ძე **მამარდაშვილი**
როინ ვიქტორის ძე **მეტრეველი**
გურამ ზაალის ძე **მირიანაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ ნესტორის ძე **ონიანი**
ლევან დავითის ძე **სანიკიძე**
რამაზ ტარიელის ძე **საყვარელიძე**
ავთანდილ ვლადიმერის ძე **სულაბერიძე**
მინდია გურამის ძე **უგრეხელიძე**
ვახტანგ შამილის ძე **შამილაძე**
გიორგი შალვას ძე **ციციშვილი**
ვახტანგ შალვას ძე **ჯაოშვილი.**

II. საქართველოს სსრ რეალური სუვერენიტეტის განხორციელების, საქართველოს სსრ მოქალაქეობის სტატუსის შემოღების, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სსრ კავშირის კანონების მოქმედების პირობების, ეროვნული საჯარისო ფორმირებების აღდგენისა და რესპუბლიკის წვევამდელთა მიერ სამხედრო სამსახურის საქართველოს ტერიტორიაზე მოხდის საკითხები განსახილველად გადაეცეს რესპუბლიკის კონსტიტუციის შემმუშავებელ კომისიას.

III. ამ დადგენილებაში აღნიშნულმა კომისიებმა თავიანთი წინადადებანი წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიას.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 20 ივნისი.
№ 2191—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

**80**

### „საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს სსრ კანონის, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტების მომზადების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს სსრ კანონის, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტების მომზადების თაო-

№ 6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 12 იანვრის დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილებით შექმნილი კომისია ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:

### კომისიის თავმჯდომარე

გივი გრიგოლის ძე **გუმბარიძე** — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

### კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

ოთარ ევტიხის ძე **ჩერქეზია** — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

### კომისიის წევრები:

ვალერიან სერგოს ძე **ადვაძე** — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ალექსანდრე დიმიტრის ძე **ალექსიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

ლევან ანდრიას ძე **ალექსიძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი.

ელგუჯა დავითის ძე **ამაშუკელი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე.

ირაკლი ონისიმეს ძე **ანდრიაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

გივი ალექსის ძე **ანჩაბაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ზურაბ ივანეს ძე **ანჯაფარიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ანდრია მელიტონის ძე **აფაქიძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი აბასის ასული **არძენაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა აჭყვის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ვან ვაგარშაკის ძე **ბაიბურთი** — გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის" რედაქტორი.

აკაკი ვიქტორის ძე **ბაქრაძე** — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე.

თენგიზ პავლეს ძე **ბუაჩიძე** — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს კულტურის ფონდის გამგეობის თავმჯდომარე.

სესილ იულონის ასული **გოგიბერიძე** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

შოთა ვარლამის ძე **გორგოძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი.

რისმაგ ბენიამინის ძე **გორდეზიანი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე.

ოთარ კონსტანტინეს ძე **გონაძე** — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების გამგე.

გურამ ჰუსეინის ძე **ემირიძე** — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

გურამ ნიკოლოზის ძე **ენუქიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრი.

ომარ გიორგის ძე **ვარძელაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე.

გივი ზაქარიას ძე **ინწკირველი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრის გამგე.

თამარ შალვას ასული **კაბულოვა** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ალექსანდრე ირაკლის ძე **კავსაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი.

აკაკი გრიგოლის ძე **კარანაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

ანატოლი აბრამის ძე **კაჩმაზოვი** — სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ვახტანგ ავქსენტის ძე **კვარაცხელია** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო პრეზიდიუმის მდივანი.

ზინაიდა არსენის ასული **კვაჭაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

შალვა დავითის ძე **კიკნაძე** — სსრ კავშირისი სახალხო დეპუტატი, საქართველოს ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან ოსმანის ძე **კობახია** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ზურაბ ივანეს ძე **ლომიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს მექურე.

ვაჟა გიორგის ძე **ლორთქიფანიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგე.

გრიგოლ დავითის ძე **ლორთქიფანიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე.

ტარიელ ვლადიმერის ძე **ლორთქიფანიძე** — საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

მუხრან ივანეს ძე **მაჭავარიანი** — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

ბეგლარ დიმიტრის ძე **მახარაშვილი** — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ნოდარ მიხეილის ძე **მგალობლიშვილი** — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე.

გურამ დავითის ძე **მგელაძე** — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარე.

**ნარგიზა ანდრიას ასული მემანიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თერჯოლის რაიონის სიქთავრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

როინ ვიქტორის ძე **მეტრეველი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელი.

გურამ ზაალის ძე **მირიანაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

სვეტლანა კონსტანტინეს ასული **ორლოვა** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მტვიფრავი.

ვახტანგ აპოლონის ძე **რაზმაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორი.

ტრიფონ ვახტანგის ძე **როსტიაშვილი** — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი.

დავით თენგიზის ძე **სავანელი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კპ წითელი წყაროს რაიკომის პირველი მდივანი.

ნუგზარ რაჟდენის ძე **საჯაია** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევი გიორგის ძე **სტურუა** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი.

სულეიმან მამედ ოღლი **სულეიმანოვი** — გაზეთ „სოვეტ გურჯუსტანის" რედაქტორი.

გურამ ივანეს ძე **ფანჯიკიძე** — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი.

ლანა ლევანის ასული **ღოღობერიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი.

გია ალექსანდრეს ძე **ყანჩელი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი.

თამაზ გრიგოლის ძე **შავგულიძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი.

ვიქტორ აზიზის ძე **შარაშენიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი.

თემურ გივის ძე **შაშიაშვილი** — ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ელდარ ნიკოლოზის ძე **შენგელაია** — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდივანი.

ჯანსუღ ავდილის ძე **ჩარკვიანი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დირექტორი.

ნიკოლოზ გიორგის ძე **ჩერქეზიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეუტატი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორი.

ანატოლი გიორგის ძე **ჩეხოევი** — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე.

ირაკლი პორფილეს ძე **ჩიქოვანი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგე.

რომიზონ ნიკოლოზის ძე **ჩიხლაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გორის რაიონის ლ. კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

თეიმურაზ ნოდარის ძე **ჩხეიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სატელევიზიო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

პეტრე პეტრეს ძე **ჩხეიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილების გამგე.

გიორგი შალვას ძე **ციციშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოსი მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ნიკოლოზის ძე **ციციშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი საწარმოო სამმართველოს უფროსი.

ნიკოლოზ ზურაბის ძე **ჭავჭავაძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი.

ნოდარ ამროსის ძე **ჭითანავა** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

**მიხეილ** მიხეილის ძე **ხანანაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

ვლადიმერ ფილიპეს ძე **ხიშბა** — საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

სერგო მანასეს ძე **ჯორბენაძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე.

2. დადგენილების მე-2 და მე-3 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

